გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ნანი ოქროპირიძის

2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის

ანგარიში

2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 15 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 225 საკითხის განხილვაში.

ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე. დავესწარი ფრაქციის 7 სხდომა და მონაწილეობა მივიღე 85 საკითხის განხილვაში.

ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი დავესწარი 11 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 23 საკითხის განხილვაში. ასევე ვარ სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრი, დავესწარი კომისიის 12 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 27 საკითხის განხილვაში.

მთელი წლის განმავლობაში სისტემატიურად ვხვდები ჩემს ამომრჩეველს როგორც საკრებულოს პროპორციული წევრი. ასევე, პერიოდულად დავესწარი სახვადასხვა სახის ღონისძიებებს.

- ICLD-(swedish international centre for local democracy) გახლავთ საერთაშორისო პროგრამა შვედეთის კურატორობით, რომლის მიზანია დაეხმაროს მუნიციპალიტეტებს განვითარებაში. სწორედ აღნიშნულმა ორგანიზაციამ დაგვიმტკიცა ორწლიანი პროექტი სკოლის თვითმმართველობების განვითარების თემატიკით. ამ პროექტში წარმოვადგენ გორის მუნიციპალიტეტს, პოლიტიკოსის ჭრილში. აღნიშნული პროეტის ფარგლებში ვიმყოფებოდი ევროპის არაერთ ქვეყანაში სადაც წარვადგენდი ანგარიშს ხანხორციელებული აქტივობების შესახებ ხოლო პარტნიორი ქვეყნები გვიზიარებდნენ საკუთარ გამოცდილებას.
- ამავე წლის ზაფხულში მერის ინიციატივით და საკრებულოს მხარდაჭერით განხორციელდა საზაფხულო ბანაკი ახალგაზრდებისთვის, ამ პროექტის განხორციელების პროცესში მივიღე აქტიური მონაწილეობა და არაერთხელ ვესტუმრე ბანაკს.
- სისტემატიურად ვეცნობოდი ქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს,
- ვარ გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი, რომლის ფარგლებშიც მთელი წლის პერიოდში ვესწრებოდი სხვადასხვა სამუშაო შეხვედრებს, ვგეგმავდით და ვახორციელებდით რიგ პროექტებს.
- აქტიურად ვხვდებით მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს, ვინიშნავთ მათ პრობლემებს რათა საკრებულოს წევრებმა მოვახდინოთ მათი ინიცირება.
- დავესწარი არასამთავრობო ორგანიზაცია ჰორიზონტის და დიმიტრი ყიფიანის საზოგადოების მიერ ორგანიზებულ სტუდენტურ ფორუმს სპიკერის რანგში.
- 2023 წლის ნოემბერში გავიარე ეუთო ოდირის ახალგაზრდა პოლიტიკოსთა სკოლა.
- გასულ წელს აქტიურად ვიყავი ჩართული 16 დღიანი გენდერული ძალადობის წინააღმდეგ კამპანიაში.
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ვესტუმრე 46 სოფელს, ყველა პროცედურა განვახორციელე გორის მუნიციპალიტეტის მერთან და მოსახლეობასთან ერთად.

- ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ სხვა წევრებთან ერთად, საზოგადოება „ბილიკის“ მართვის ქვეშ არსებული მცირე საოჯახო სახლს ვესტუმრეთ ამ წლის 13 თებერვალს. მოვინახულეთ ბენეფიციარები და ახალგაზრდებს ზამთრის სამოსი გადავეცით.
- 15 თებერვალს ფრაქცია ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს თავჯდომარის მოადგილეებმა, მე , ნანი ოქროპირიძემ და გიგა გელაშვილმა, ახალგაზრდული ფორუმის ფარგლებში ტყვიავის საჯარო სკოლას საჩუქრად მხატვრული ლიტერატურა გადავეცით.
- 16 თებერვალს საქართველოს პარლამენტში შევხვდი, საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავჯდომარის მოადგილეს, სალომე ქურასბედიანს და ვისაუბრეთ გორის მუნიციპალიტეტში გარემოს დაცვის მიმართულებით განხორციელებულ საქმიანობაზე.
- 17 თებერვალს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში შევხვდი ასობით სტუდენტს საქართველოს პარლამენტის წევრ გიორგი სოსიაშვილთან ერთად,
- 28 თებერვალს ქალაქთაშორის მეგობრობის ფარგლებში ვესტუმრეთ კასპის ტექნო-პარკს, სადაც საქართველოს პარლამენტის სხვა წევრებთან ერთად შევხვდი ახალგაზრდებს.
- 8 მარტს საქართველოს პარლამენტის წევრ გიორგი სოსიაშვილთან ერთად ჩვენს ქალბატონ მეეზოვეებს ქალბატონების საერთაშორისო დღე თაიგულებით მივულოცეთ.
- ქალთა თვისადმი მიძღვნილი აქტივობების ფარგლებში, პროექტში ჩართული ახალგაზრდები შეხვდნენ გორში მცხოვრებ წარმატებულ ქალბატონებს: ნანი ოქროპირიძე (საკრებულოს წევრი), ნინო ჩიბჩიური(NEO TV-ის დამფუძნებელი და ეკატერინე სუხიშვილი(ბიზნესის წარმომადგენელი). სპიკერებმა ისაუბრეს წარმატების და პიროვნული ზრდის ფორმულაზე, რაც პირდაპირ კავშირშია პიროვნების განვითარებასა და ზრდასთან. აღნიშნული ღონისძიება ჩატარდა USAID -ის პროგრამა "ერთიანობა მრავალფეროვნებაშია” ფარგლებში, რომელიც საქართველოს გაეროს ასოციაციის UNAG-ის მიერ ხორციელდება. აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით.
- 12 მარტს სოფელ ბერშუეთში ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები დავათვალიერეთ. განვიხილეთ მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემები და საჭიროებები.
- შიდა ქართლის რწმუნებულთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად გვირგვინით შევამკე 9 აპრილის სკვერი.
- გორის მუნიციპალიტეტის მერთან, ვლადიმერ ხინჩეგაშვილთან და საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძესთან ერთად ოკუპირებული ტერიტორიების მოსაზღვრე ორ სოფელში - ქვემო არცევსა და მერეთში ახლადმოწყობილი სტადიონები დავათვალიერეთ და მოსახლეობას შეხვდით.
- გორის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების გუნდათ ერთად ამ წლის მიმდინარე ბიისის და ბაკურიანს ბანაკებს ვესტუმრე, მოვინახულე ახალაგაზრდების საბანაკე საქმიანობა და პირობები. მოვისმინე მათი უკუკავშირი.
- 5 აგვისტოს დავესწარი საქართველოს პარლამენტის წევრ გიორგი სოსიაშვილის ორგანიზებულ ახალგაზრდულ ფორუმს ატენის ხეობაში.

აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის როგორც საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების, ასევე მერიის სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში. გარდა ამისა აქტიურად

ვმონაწილეობ საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მუშაობაში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ნანი ოქროპირიძის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

ქ.გორი **2024 წლის 31 ოქტომბერი**

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - თამარ მურალოვა;

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: ნანი ოქროპირიძე;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: წმინდა წყლის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი ირინა ტეტუნაშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: თამარ მურალოვა.

დღის წესრიგი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ნანი ოქროპირიძის 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი ნანი ოქროპირიძე და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის წესრიგის მიხედვით სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს ნანი ოქროპირიძეს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე განვლილ პერიოდიში მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსხალეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები,

რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტუქტულულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა ნანი ოქროპირიძემ აღნიშნა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომელის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: იოსებ ენუქაშვილმა და მარინე შეფლერმა;

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთ თანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: თამარ მურალოვა;

საკრებულოს წევრი : ნანი ოქროპირიძე;